## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 დავების გადაწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 16. სხვა პირობები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ საკუთარი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად (ერთი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს) და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| სსიპ №157 საჯარო სკოლა | აუდიტური კომპანია „კომპაუდი“ |
| ქ.თბილისი, ვარკეთილის IVმ/რ, | ქ.თბილისი. დ.ბაქრაძის ქ. №6 |
| III კვარტალი | საბანკო რეკვიზიტები: |
| საბანკო რეკვიზიტები: | სს „ლიბერთი ბანკი“ |
| სს „კორ სტანდარტ ბანკი“ | ბანკის კოდი: LBRTGE22 |
| ბანკის კოდი KSBGGE22 | ა/ა № GE 67 LB 011 311 033 109 7000 |
| ა/ა GE58KS0000000360800585 | |
| ს/კ 206031872 | ს/კ №202385169 |
| დირექტორი | დირექტორი |
| მანანა სულაშვილი | ივანე ფანცულაია |